მიქსი საქართველო 2018

მონაცემების წარმოება ბავშვთა კეთილდღეობისათვის

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა 2018

საქართველოს
მთავრობა

სტატისტიკის ეროვნული
სამსახური

დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის
ეროვნული ცენტრი

unicef
გაეროს ბავშვთა
ფონდი

MICS

MICS

GENERATING EVIDENCE TO DELIVER FOR CHILDREN

საქართველო
MICS

მრავალინდიკატორული
კლასტერული კვლევა
2018

კვლევის შედეგების ანგარიში

ნოემბერი, 2019

მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა (MICS) მიქსი საქართველო 2018 განახორციელა სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2018-2019 წლებში გაეროს ბავშვთა ფონდთან (იუნისეფი) და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან (დკსჯეც) მჭიდრო თანამშრომლობით, როგორც გლობალური MICS-ის პროგრამის ნაწილი. კვლევის ტექნიური მხარდაჭერა უზრუნველყოფილ იქნა გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფი) მიერ და კვლევა განხორციელდა საქართველოს მთავრობის, გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფი), დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), მსოფლიო ბანკის (WB), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), იტალიის ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტის (ISS), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ფინანსური დახმარებით.

გლობალური MICS-ის პროგრამა გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მიერ შემუშავდა 1990, როგორც მრავალმიზნობრივი შინამეურნეობების კვლევა, რათა ხელი შეუწყოს ქვეყნებს საერთაშორისო დონეზე შედარებადი ფართო სპექტრის მაჩვენებლების შეგროვებაში, რომლებიც ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის შესაფასებლად გამოიყენება. MICS-ის კვლევებით იზომება ის ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს უზრუნველყონ საჭირო ინფორმაციით პოლიტიკის განმსაზღვრელი პირები, პროგრამები, ეროვნული განვითარების გეგმები და დააკვირდნენ მდგრადი განვითარების მიზნების (SDSs) და სხვა საერთაშორისო დონეზე შეთანხმებული ვალდებულებების მიღწევას. 2005 წლის შემდეგ საქართველოში არ ჩატარებულა მრავალინდიკატორული კლასტერული გამოკვლევა და მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის მიქსის მაჩვენებლები გროვდებოდა სხვა გამოკვლევებიდან. მიქსი საქართველო 2018-ის მიზანს წარმოადგენდა მონაცემების მიღება სხვადასხვა სფეროში მიღწეული პროგრესის კრიტიკულად შეფასებისათვის და იმ სფეროების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც მეტ ყურადღებას საჭიროებენ; დეტალიზებული მონაცემების შეგროვება უთანასწორობის იდენტიფიცირებისათვის, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შესამუშავებლად, რომელიც მიმართულია ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ ჩართულობაზე; სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების და ფოკუსირებული ინტერვენციების შედეგების ვალიდაცია. უფრო მეტიც, საქართველოში ბავშვთა სისხლში ტყვიის მომწამვლელი ოდენობის შესახებ გავრცელებულ ცნობებზე რეაგირების მიზნით, მიქსი საქართველო 2018 უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით რეპრეზენტატულ მაჩვენებლებს 2-7 წლის ასაკის ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის შესახებ.

წინამდებარე ანგარიშის მიზანია ხელი შეუწყოს მიქსი საქართველო 2018-ის შედეგების დროულად გავრცელებასა და გამოყენებას. ანგარიში მოიცავს დეტალურ ინფორმაციას კვლევის მეთოდოლოგიისა და MICS–ის ყველა სტანდარტული ცხრილის შესახებ. ანგარიშს თან ახლავს კვლევის ძირითადი მიგნებების სტატისტიკური მოკლე აღწერილობების კომპლექტი.

გლობალური MICS-ის პროგრამის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, იხილოთ mics.unicef.org.

პუბლიკაციის ციტირება:

სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2019. *საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, კვლევის შედეგების ანგარიში.* თბილისი, საქართველო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კვლევის განხორციელებისა და გამოსაკვლევი მოსახლეობის შემაჯამებელი ცხრილები

კვლევის შერჩევა და განხორციელება			
შერჩევის ჩარჩო - განახლებული	2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა	კითხვარები	შინამეურნეობა ქალები (15-49 წლის ასაკი) მამაკაცები (15-49 წლის ასაკი) ხუთწლამდე ასაკის ბავშვები 5-17 წლის ასაკის ბავშვები წყლის ხარისხის ტესტირება ტყვიის ტესტირება
ინტერვიუერების ტრენინგი	აგვისტო-სექტემბერი, 2018	საველე სამუშაოები	სექტემბერი – დეკემბერი, 2018

კვლევის შერჩევა			
შინამეურნეობა - შერჩეული - დაკავებული - გამოკითხული - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 14,120 13,030 12,270 94.2	ხუთწლამდე ბავშვები - შესაფერისი - გამოკითხული დედები/მეურვეები - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 2,824 2,540 89.9
ქალები (15-49 წლის ასაკის) - ინტერვიუსთვის შესაფერისი - გამოკითხული - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 8,511 6,812 80.0	5-17 წლის ასაკის ბავშვები - შესაფერისი - გამოკითხული დედები/მეურვეები - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 4,221 3,740 88.6
კაცები (15-49 წლის ასაკის) - ინტერვიუსთვის შესაფერისი - გამოკითხული - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 4,438 2,697 60.8	წყლის ხარისხის ტესტირება - შესაფერისი - გამოკითხული - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 3,530 2,699 76.5
2-7 წლის ასაკის ბავშვები - ინტერვიუსთვის შესაფერისი - გამოკითხული - გამოპასუხების დონე (პროცენტი)	 2,633 1,578 59.9		

გამოსაკითხი მოსახლეობა			
ოჯახის საშუალო ზომა	3.4	მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა	
მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი:		- ქალაქად	59.4
- 5 წლამდე	7.0	- სოფლად	40.6
- 18 წლამდე	23.1		
ბოლო 2 წლის განმავლობაში ცოცხლადშობადობის მქონე 15-49 წლის ასაკის ქალების პროცენტული წილი	13.2	- თბილისი	34.0
		- აჭარის ა.რ.	9.8
		- გურია	2.7
		- იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	13.8
		- კახეთი	7.2
		- მცხეთა-მთიანეთი	2.4
		- სამეგრელო-ზემო სვანეთი	8.1
		- სამცხე-ჯავახეთი	3.7
		- ქვემო ქართლი	11.3
		- შიდა ქართლი	7.1
		მოსახლეობის პროცენტი, რომლებიც ცხოვრობს შინამეურნეობებში, რომლის უფროსის დევნილობის სტატუსია	
		- არის დევნილი	4.6
		- არ არის დევნილი	95.4

სარჩევი

კვლევის განხორციელებისა და გამოსაკვლევი მოსახლეობის შემაჯამებელი ცხრილები III

სარჩევი V

აბრევიატურების სია XIII

მადლობა 15

1 შესავალი 16

2 კვლევის მეთოდოლოგია 19

2.1 შერჩევის დიზაინი 19
2.2 კითხვარები 19
2.3 ეთიკური პროტოკოლი 20
2.4 მონაცემთა შეგროვების მეთოდი 21
2.5 ტრენინგი 22
2.6 საველე სამუშაოები 22
2.7 საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლის ღონისძიებები 22
2.8 მონაცემთა მართვა, რედაქტირება და ანალიზი 23
2.9 მონაცემთა გავრცელება 23
2.10 როგორ წავიკითხოთ ცხრილები 23

3 მაჩვენებლები და განმარტებები 25

4 შერჩევის მოცულობა და რესპონდენტების მახასიათებლები 42

4.1 გამოკითხვის შედეგები 42
ცხრილი SR.1.1: შინამეურნეობის, ქალების, მამაკაცების, 5 წლამდე და 5-17 წლის ასაკის ბავშვების გამოკითხვის შედეგები 43
4.2 საცხოვრებლის და შინამეურნეობის მახასიათებლები 47
ცხრილი SR.2.1: საცხოვრებლის მახასიათებლები 48
ცხრილი SR.2.2: შინამეურნეობის და პერსონალური აქტივები 51
ცხრილი SR.2.3: კეთილდღეობის ინდექსის კვინტილები 54
4.3 შინამეურნეობის შემადგენლობა 55
ცხრილი SR.3.1: შინამეურნეობის შემადგენლობა 56
4.4 შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა 58
ცხრილი SR.4.1: შინამეურნეობების მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება სქესის მიხედვით 58
4.5 ცნობები რესპონდენტის ძირითადი მახასიათებლების შესახებ 59
ცხრილი SR.5.1W: ქალების ძირითადი მახასიათებლები 61
ცხრილი SR.5.1M: მამაკაცების ძირითადი მახასიათებლები 63
ცხრილი SR.5.2: 5 წლამდე ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები 65
ცხრილი SR.5.3: 5-17 წლის ასაკის ბავშვების ძირითადი მახასიათებლები 67
4.6 წერა-კითხვის ცოდნა 69
ცხრილი SR.6.1W: წერა-კითხვის ცოდნა (ქალები) 70
ცხრილი SR.6.1M: წერა-კითხვის ცოდნა (მამაკაცები) 72
4.7 ზრდასრულთა ფუნქციონირება 74
ცხრილი SR.8.1W: ზრდასრულთა ფუნქციონირება (18-49 წლის ასაკის ქალები) 76

ცხრილი SR.8.1M: ზრდასრულთა ფუნქციონირება (18-49 წლის ასაკის მამაკაცები) 79
4.8 საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები 82
ცხრილი SR.9.2: შინამეურნეობის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მოწყობილობების ფლობა და ინტერნეტთან წვდომა 83
4.9 ბავშვთა საცხოვრებელი პირობები 85
ცხრილი SR.11.1: ბავშვების საცხოვრებელი პირობები და ობლობა 86
ცხრილი SR.11.2: ბავშვების საცხოვრებელი პირობები და მშობლებთან თანაცხოვრება 89
ცხრილი SR.11.3: მშობლების მზრუნველობის გარეშე დარჩენილი ბავშვები 91

5 კეთილდღეობა - რეპროდუქციული და დედათა ჯანმრთელობა 93

5.1 ადრეული შვილოსნობა 93
ცხრილი TM.2.2W: ადრეული შვილოსნობა (ახალგაზრდა ქალები) 94
ცხრილი TM.2.3W: ადრეული შვილოსნობის ტენდენციები (ქალები) 96
5.2 კონტრაცეფცია 97
ცხრილი TM.3.1: კონტრაცეპტივების გამოყენება (ამჟამად დაქორწინებული/პარტნიორთან მცხოვრები) 100
ცხრილი TM.13.1CS: ინფორმირებულობა კონტრაცეპტივების შესახებ (ქალები) 103
ცხრილი TM.13.2CS: ინფორმირებულობა კონტრაცეპტივების ეფექტურობის შესახებ (ქალები) 107
ცხრილი TM.13.3CS: შვილების სასურველი რაოდენობა (ქალები) 111
ცხრილი TM.3.3CS: საჭიროება და მოთხოვნა ოჯახის დაგეგმვის საშუალებებზე (ამჟამად დაქორწინებული/პარტნიორთან მცხოვრები) 113
5.3 მშობიარობა 117
ცხრილი TM.6.1: მშობიარობის ადგილი 118
ცხრილი TM.6.2CS: საკეისრო კვეთა 120
5.4 მშობიარობის შემდგომი მოვლა 122
ცხრილი TM.8.2CS: ახალშობილისა და დედის მშობიარობის შემდგომი შემოწმება 123
ცხრილი TM.8.4: ახალშობილის კანით-კანთან კონტაქტი 126
ცხრილი TM.14.1CS: ახალშობილის კანით-კანთან კონტაქტის ხანგრძლივობა 128
5.5 აივ/შიდსი 129
ცხრილი TM.11.1W: ცოდნა აივ-ის გადაცემის შესახებ, მცდარი შეხედულებები აივ-ის შესახებ და ყოვლისმომცველი ცოდნა აივ-ის გადაცემის შესახებ (ქალები) 131
ცხრილი TM.11.1M: ცოდნა აივ-ის გადაცემის შესახებ, მცდარი შეხედულებები აივ-ის შესახებ და ყოვლისმომცველი ცოდნა აივ-ის გადაცემის შესახებ (მამაკაცები) 135
ცხრილი TM.11.2W: ინფორმირებულობა დედისგან შვილზე აივ-ის გადაცემის შესახებ (ქალები) 139
ცხრილი TM.11.2M: ინფორმირებულობა დედისგან შვილზე აივ-ის გადაცემის შესახებ (მამაკაცები) 142
ცხრილი TM.11.3W: დამოკიდებულება აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ (ქალები) . 145
ცხრილი TM.11.3M: დამოკიდებულება აივ-ინფიცირებული ადამიანების მიმართ (მამაკაცები) 149
ცხრილი TM.11.4W: ინფორმირებულობა აივ-ზე ტესტირების ჩატარების ადგილის შესახებ (ქალები) 153
ცხრილი TM.11.4M: ინფორმირებულობა აივ-ზე ტესტირების ჩატარების ადგილის შესახებ (მამაკაცები) 155
ცხრილი TM.11.5: აივ-ზე კონსულტაცია მშობიარობამდელი დაკვირვებისას 157

ცხრილი TM.11.6W: აივ/შიდს-ის ძირითადი მაჩვენებლები (ახალგაზრდა ქალები) 159
ცხრილი TM.11.6M: აივ/შიდს-ის ძირითადი მაჩვენებლები (ახალგაზრდა მამაკაცები) 162
5.6 შეწყვეტილი ორსულობა 164
ცხრილი TM.15.1CS: სულ ხელოვნური აბორტის კოეფიციენტი (TIAR) და მკვდრადშობადობის კოეფიციენტი 166
ცხრილი TM.15.2CS: ხელოვნური აბორტის ჩატარების ადგილი და გამოყენებული მეთოდი 168
ცხრილი TM.15.3CS: აბორტისშემდგომი ადრეული გართულებები 172
ცხრილი TM.15.4CS: კონსულტაცია კონტრაცეპტივებზე აბორტის პროცედურის დროს და კონტრაცეპტივების მიწოდება აბორტის შემდეგ 174
5.7 ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ 177
ცხრილი TM.16.1CS: ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ 179

6 კეთილდღეობა - ბავშვის ჯანმრთელობა, კვება და განვითარება 183

6.1 ავადობის შემთხვევები 183
ცხრილი TC.2.1: დაფიქსირებული ავადობის შემთხვევები 184
6.2 დიარეა და ცხელება 185
ცხრილი TC.3.1: ბავშვის მოვლა დიარეის დროს 187
ცხრილი TC.3.2: სითხისა და საკვების მიღების ტენდენციები დიარეის დროს 190
ცხრილი TC.3.3: ორალური სარეჰიდრატაციო მარილის ხსნარი და თუთია 193
ცხრილი TC.3.4: ორალური სარეჰიდრატაციო ხსნარის თერაპია უწყვეტი კვების თანხლებით და სხვა სახის მკურნალობა 195
ცხრილი TC.3.5: ოსმხ-ს წყარო 198
ცხრილი TC.6.10: ბავშვის მოვლა ცხელების დროს 199
ცხრილი TC.6.11: მკურალობა ცხელების დროს 202
6.3 ენერგიის მოხმარება შინამეურნეობებში 205
ცხრილი TC.4.1: საკვების მოსამზადებლად ძირითადად სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების გამოყენება 207
ცხრილი TC.4.2: საკვების მოსამზადებლად ძირითადად მყარი საწვავის გამოყენება 210
ცხრილი TC.4.3: დამაბინძურებელი საწვავი და ტექნოლოგიები საკვების მოსამზადებლად, გამოყენებული ქურის სახეებისა და მახასიათებლების და საკვების მომზადების ადგილის მიხედვით 213
ცხრილი TC.4.4: საცხოვრისის გასათბობად ძირითადად სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების გამოყენება 216
ცხრილი TC.4.5: გამათბობელი, რომელსაც იყენებს შინამეურნეობა და საკვამურის ან გამწოვი მილის ხელმისაწვდომობა 219
ცხრილი TC.4.6: ძირითადად სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების გამოყენება საცხოვრისის განათებისთვის 222
ცხრილი TC.4.7: ძირითადად სუფთა საწვავისა და ტექნოლოგიების გამოყენება საკვების მოსამზადებლად, საცხოვრისის გასათბობად და განათებისათვის 225
6.4 ჩვილთა და ბავშვთა კვება 226
ცხრილი TC.7.1: ადრეული ძუძუთი კვება 231
ცხრილი TC.7.2: ახალშობილის კვება 233
ცხრილი TC.7.3: ძუძუთი კვების სტატუსი 236
ცხრილი TC.7.4: ძუძუთი კვების ხანგრძლივობა 237

ცხრილი TC.7.5: ასაკის შესაბამისი ძუძუთი კვება 239
ცხრილი TC.7.6: მყარი, ნახევრად მყარი ან რბილი საკვების ჩართვა კვების რაციონში 241
ცხრილი TC.7.7: ბავშვების და ახალშობილების კვების გამოცდილება 242
ცხრილი TC.7.8: ბოთლიდან კვება 245
6.5 მალნუტრიცია 247
ცხრილი TC.8.1: ბავშვების ნუტრიციული სტატუსი 250
6.6 ბავშვთა ადრეული განვითარება 254
ცხრილი TC.10.1: სწავლაში ხელშეწყობა 255
ცხრილი TC.10.2: სასწავლო მასალები 259
ცხრილი TC.10.3: არასათანადო მეთვალყურეობა 262
6.7 ადრეული განვითარების ინდექსი 264
ცხრილი TC.11.1: ბავშვთა ადრეული განვითარების ინდექსი 265
6.8 ელექტრონულ მოწყობილობებზე წვდომა 267
ცხრილი TC.12CS: ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული მოწყობილობებით ან უყურებენ ტელევიზორს 269

7 სწავლა 271

7.1 საბავშვო ბაღი 271
ცხრილი LN.1.1: საბავშვო ბაღი 272
ცხრილი LN.1.3CS: საბავშვო ბაღის მმართველობა 273
ცხრილი LN.1.2: ორგანიზებულ სწავლებაში ჩართულობის დონე 274
7.2 დასწრება 276
ცხრილი LN.2.1: სასკოლო მზაობა 278
ცხრილი LN.2.2: დაწყებით სკოლაში შესვლა 280
ცხრილი LN.2.3: სკოლის დაწყებით საფეხურზე დასწრება და სკოლის მიღმა მყოფი ბავშვები 281
ცხრილი LN.2.4: სკოლის არასრულ საშუალო (საბაზო) საფეხურზე დასწრება და სკოლის მიღმა მყოფი მოზარდები 285
ცხრილი LN.2.5: ასაკისა და კლასის შესაბამისობა 289
ცხრილი LN.2.6: სკოლის სრულ საშუალო საფეხურზე დასწრება და სკოლის მიღმა მყოფი ახალგაზრდები 293
ცხრილი LN.2.7: სკოლის შესაბამის საფეხურზე შესვლის საერთო, საფეხურის დასრულებისა და ეფექტური გადასვლის დონეები 297
ცხრილი LN.2.8: თანასწორობის ინდექსები 301
7.3 მშობელთა ჩართულობა 305
ცხრილი LN.3.1: ბავშვის ხელშეწყობა სწავლაში, რომელიც დადის საგანმანათლებლო დაწესებულებაში 307
ცხრილი LN.3.2: გაკვეთილის არჩატარების საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული მიზეზები 312
ცხრილი LN.3.3: სასწავლო გარემო სახლში 316

8 ძალადობისა და ექსპლუატაციისგან დაცვა 318

8.1 ბავშვის აღზრდა 318
ცხრილი PR.2.1: ბავშვის აღზრდა 319
ცხრილი PR.2.2: ფიზიკური დასჯის მიმართ დამოკიდებულება 321
8.2 ადრეული ქორწინება 322

ცხრილი PR.4.1W: ადრეული ქორწინება (ქალები) ... 324
ცხრილი PR.4.1M: ადრეული ქორწინება (მამაკაცები) ... 328
ცხრილი PR.4.2W: ადრეული ქორწინების ტენდენცია (ქალები) ... 332
ცხრილი PR.4.2M: ადრეული ქორწინების ტენდენცია (მამაკაცები) ... 333
ცხრილი PR.4.3: მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა ... 334
ცხრილი PR.4.3SC: მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა ... 335
8.3 ვიქტიმიზაცია ... 336
ცხრილი PR.6.1W: ძარცვისა და თავდასხმის მსხვერპლი (ქალები) ... 337
ცხრილი PR.6.1M: ძარცვისა და თავდასხმის მსხვერპლი (მამაკაცები) ... 340
ცხრილი PR.6.3W: ბოლო თავდასხმის ადგილი და გარემოება (ქალები) ... 343
ცხრილი PR.6.4W: ძარცვის და თავდასხმის შემთხვევის შეტყობინება ბოლო ერთი წლის განმავლობაში (ქალები) ... 343
8.4 უსაფრთხოების შეგრძნება ... 344
ცხრილი PR.7.1W: უსაფრთხოების შეგრძნება (ქალები) ... 345
ცხრილი PR.7.1M: უსაფრთხოების შეგრძნება (მამაკაცები) ... 349

9 უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრება ... 353

9.1 სასმელი წყალი ... 353
ცხრილი WS.1.1: სასმელი წყლის გაუმჯობესებული და გასაუმჯობესებელი წყაროების გამოყენება ... 355
ცხრილი WS.1.2: სასმელი წყლის ძირითადი და შეზღუდული მომსახურებების გამოყენება ... 358
ცხრილი WS.1.3: წყლის მოტანაზე პასუხისმგებელი პირი ... 361
ცხრილი WS.1.4: წყლის მოტანაზე დახარჯული დრო ... 363
ცხრილი WS.1.5: საჭიროების შემთხვევაში საკმარის სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა ... 364
ცხრილი WS.1.6: სასმელი წყლის ხარისხი წყლის წყაროში ... 366
ცხრილი WS.1.7: სასმელი წყლის ხარისხი შინამეურნეობაში ... 368
ცხრილი WS.1.8: უსაფრთხოდ მართული სასმელი წყლის მომსახურებები ... 370
ცხრილი WS.1.9: შინამეურნეობაში წყლის გასუფთავება ... 374
9.2 ხელის დაბანა ... 376
ცხრილი WS.2.1: ხელსაბანი მოწყობილობები საპნითა და წყლით საცხოვრისის ტერიტორიაზე ... 377
9.3 სანიტარია ... 380
ცხრილი WS.3.1: გაუმჯობესებული და გასაუმჯობესებელი სანიტარული კვანძით სარგებლობა ... 382
ცხრილი WS.3.2: ძირითადი და შეზღუდული სანიტარული მომსახურებებით სარგებლობა ... 385
ცხრილი WS.3.3: ადგილზე მდებარე სანიტარული კვანძებიდან ექსკრეტის დაცლა და გადაყრა ... 388
ცხრილი WS.3.4: შინამეურნეობის სანიტარული კვანძებიდან ექსკრეტის მართვა ... 392
ცხრილი WS.3.5: ბავშვის ფეკალიების განადგურება ... 394
ცხრილი WS.3.6: სასმელი წყლის, სანიტარიისა და ხელის დაბანის სკალა ... 397

10 ცხოვრების თანაბარი შანსი ... 400

10.1 ბავშვის ფუნქციონირება ... 400
ცხრილი EQ.1.1: ბავშვის ფუნქციონირება (2-4 წლის ასაკის ბავშვები) ... 401
ცხრილი EQ.1.2: ბავშვის ფუნქციონირება (5-17 წლის ასაკის ბავშვები) ... 404
ცხრილი EQ.1.3: დამხმარე მოწყობილობებით სარგებლობა (2-17 წლის ასაკის ბავშვები) ... 407

ცხრილი EQ.1.4: ბავშვის ფუნქციონირება (2-17 წლის ასაკის ბავშვები) 409
10.2 სოციალური გადარიცხვები 411
ცხრილი EQ.2.1W: ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვა (ქალები) 413
ცხრილი EQ.2.1M: ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვა (მამაკაცები) 416
ცხრილი EQ.2.2: ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვა (5-17 წლის ასაკის ბავშვები) 419
ცხრილი EQ.2.3: ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვა (5 წლამდე ასაკის ბავშვები) 422
ცხრილი EQ.2.4: ინფორმირებულობა და ეკონომიკური დახმარების პროგრამების ოდესმე გამოყენება 425
ცხრილი EQ.2.5: მოსახლეობის დაფარვა სოციალური გადარიცხვებით და დახმარებებით: შინამეურნეობის ყველა წევრი 427
ცხრილი EQ.2.6: შინამეურნეობების დაფარვა სოციალური გადარიცხვებით და დახმარებებით: შინამეურნეობები კეთილდღეობის ინდექსის ბოლო ორ კვინტილურ ჯგუფში 430
ცხრილი EQ.2.7: შინამეურნეობების დაფარვა სოციალური გადარიცხვებით და სარგებლით: ბავშვები ყველა შინამეურნეობებში 433
ცხრილი EQ.2.8: მოსახლეობის დაფარვა განათლების მიღებასთან დაკავშირებული დახმარების პროგრამების მიხედვით: 5-24 წლის ასაკის ყველა შინამეურნეობის წევრები 436
ცხრილი EQ.2.9CS: შინამეურნეობების პროცენტული წილი, რომლებსაც ოდესმე მიუმართავთ დახმარების პროგრამების მისაღებად 439
10.3 დისკრიმინაცია და შევიწროება 441
ცხრილი EQ.3.1W: დისკრიმინაცია და შევიწროება (ქალები) 442
ცხრილი EQ.3.1M: დისკრიმინაცია და შევიწროება (მამაკაცები) 445
10.4 სუბიექტური კეთილდღეობა 448
ცხრილი EQ.4.1W: მთლიანობაში ცხოვრებით კმაყოფილება და ბედნიერება (ქალები) 449
ცხრილი EQ.4.1M: მთლიანობაში ცხოვრებით კმაყოფილება და ბედნიერება (მამაკაცები) 453
ცხრილი EQ.4.2W: უკეთესი ცხოვრების აღქმა (ქალები) 457
ცხრილი EQ.4.2M: უკეთესი ცხოვრების აღქმა (მამაკაცები) 460

11 ტყვიის შემცველობის გავრცელება 463

ცხრილი LT.1CS: სისხლში მომატებული ტყვიის შემცველობის გავრცელება 2-7 წლის ასაკის ბავშვებში 465

დანართი A შერჩევის დიზაინი 466

A.1 შერჩევის ზომა და განაწილება 467
ცხრილი SD.1: სააღწერო უბნების და შინამეურნეობების განაწილება შერჩევის ჩარჩოში 467
ცხრილი SD.2: შერჩევის განაწილება 469
A.2 სააღწერო უბნების (კლასტერების) შერჩევა 471
A.3 წინასწარი შემოვლის სამუშაოები 471
A.4 შინამეურნეობების შერჩევა 471
A.5 შერჩევის წონების გაანგარიშება 472

დანართი B კვლევაში ჩართული პერსონალის სია 476

დანართი C შერჩევის ცდომილებათა შეფასებები 484

ცხრილი SE.1: შერჩევის ცდომილებები: მთლიანი შერჩევა 486
ცხრილი SE.2: შერჩევის ცდომილებები: ქალაქი 488
ცხრილი SE.3: შერჩევის ცდომილებები: სოფელი 490
ცხრილი SE.4: შერჩევის ცდომილებები: თბილისი 492

ცხრილი SE.5: შერჩევის ცდომილებები: აჭარის ა.რ. 494
ცხრილი SE.6: შერჩევის ცდომილებები: გურია 496
ცხრილი SE.7: შერჩევის ცდომილებები: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი 498
ცხრილი SE.8: შერჩევის ცდომილებები: კახეთი 500
ცხრილი SE.9: შერჩევის ცდომილებები: მცხეთა-მთიანეთი 502
ცხრილი SE.10: შერჩევის ცდომილებები: სამეგრელო-ზემო სვანეთი 504
ცხრილი SE.11: შერჩევის ცდომილებები: სამცხე-ჯავახეთი 506
ცხრილი SE.12: შერჩევის ცდომილებები: ქვემო ქართლი 508
ცხრილი SE.13: შერჩევის ცდომილებები: შიდა ქართლი 510

დანართი D მონაცემთა ხარისხი 512

D.1 ასაკობრივი განაწილება 512
ცხრილი DQ.1.1: შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობის ასაკობრივი განაწილება 512
ცხრილი DQ.1.2W: გამოკითხვისთვის შესაფერის და გამოკითხულ ქალთა ასაკობრივი განაწილება 513
ცხრილი DQ.1.2M: გამოკითხვისთვის შესაფერის და გამოკითხულ მამაკაცთა ასაკობრივი განაწილება 514
ცხრილი DQ.1.3: მცირეწლოვანი ბავშვების ასაკობრივი განაწილება შინამეურნეობის და 5 წლამდე ასაკის ბავშვთა კითხვარების მიხედვით 515
ცხრილი DQ.1.4: 3-20 წლის ასაკის ბავშვთა ასაკობრივი განაწილება შინამეურნეობის და 5-17 წლის ასაკის ბავშვთა კითხვარების მიხედვით 516
D.2 დაბადების თარიღის მითითება 517
ცხრილი DQ.2.1: დაბადების თარიღის მითითება (შინამეურნეობებში მცხოვრები მოსახლეობა) 517
ცხრილი DQ.2.2W: დაბადების თარიღისა და ასაკის მითითება (ქალები) 518
ცხრილი DQ.2.2M: დაბადების თარიღისა და ასაკის მითითება (მამაკაცები) 519
ცხრილი DQ.2.3: დაბადების თარიღისა და ასაკის მითითება (ცოცხლადშობადობა) 520
ცხრილი DQ.2.4: დაბადების თარიღისა და ასაკის მითითება (5 წლამდე ასაკის ბავშვები) 521
ცხრილი DQ.2.5: დაბადების თარიღისა და ასაკის მითითება (5-17 წლის ასაკის ბავშვები) 522
D.3 ინფორმაციის სისრულე და გაზომვები 523
ცხრილი DQ.3.2: წყლის ხარისხის ტესტირების ინფორმაციის სისრულე და ხარისხი 523
ცხრილი DQ.3.3W: ქორწინების/პარტნიორთან ცხოვრების დაწყების თარიღის ინფორმაციის სისრულე (ქალები) 524
ცხრილი DQ.3.3M: ქორწინების/პარტნიორთან ცხოვრების დაწყების თარიღის ინფორმაციის სისრულე (მამაკაცები) 524
ცხრილი DQ.3.4: ანთროპომეტრიული მაჩვენებლების ინფორმაციის სისრულე: დაბალი წონა 525
ცხრილი DQ.3.5: ანთროპომეტრიული მაჩვენებლების ინფორმაციის სისრულე: სიმაღლეში ჩამორჩენა 525
ცხრილი DQ.3.6: ანთროპომეტრიული მაჩვენებლების ინფორმაციის სისრულე: ზრდის შეფერხება და ჭარბწონიანობა 526
ცხრილი DQ.3.7: დამრგვალება ანთროპომეტრიულ გაზომვებში 526
D.4 დაკვირვებები 527
ცხრილი DQ.4.2: ხელსაბანი მოწყობილობების დათვალიერება 527
D.5 საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრება 528

ცხრილი DQ.5.1: საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასწრება თითოეული ასაკის მიხედვით 528
D.6 დაბადების შესახებ ცნობები 529
ცხრილი DQ.6.1: სქესთა შორის თანაფარდობა დაბადებულ და ცოცხლად მყოფ ბავშვებში ... 529
დანართი E მიქსი საქართველო 2018 კითხვარები 530
შინამეურნეობის კითხვარი 530
წყლის ხარისხის ტესტირების კითხვარი 557
ინდივიდუალური კითხვარი ქალებისთვის 563
ინდივიდუალური კითხვარი მამაკაცებისთვის 606
კითხვარი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ 627
კითხვარი 5-17 წლის ასაკის ბავშვების შესახებ 656
ტყვიის ტესტის კითხვარი 668

აბრევიატურების სია

AAP	ამერიკელი პედიატრების აკადემია
ACT	არტემისინინზე დაფუძნებული კომბინირებული თერაპია
აივ	ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი
AFD	საფრანგეთის განვითარების სააგენტო
ARI	მწვავე რესპირატორული ინფექცია
CAPI	კომპიუტერზე დაფუძნებული პერსონალური ინტერვიუირების სისტემა
CRC	ბავშვთა უფლებების კონვენცია
CS	ქვეყნისთვის სპეციფიკური
CSPro	აღწერისა და კვლევის დამუშავების სისტემა
E. coli	ეშერიხია კოლი
ECDI	ბავშვთა ადრეული განვითარების ინდექსი
FCT	საველე საკონტროლო ცხრილი
FWCW	ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენცია
GAM	გლობალური შიდსის მონიტორინგი
გრ	გრამი
დკსჯეც	დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
სგდსმს	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სგმკსს	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
სრგის	საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
სოტდშჯსდს	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
IAEG-SDG's	უწყებათაშორისი და მდგრადი გავითარების ინდიკატორების (SDG) ექსპერტთა ჯგუფი
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
ICPD	მოსახლეობისა და განვითარების საერთაშორისო კონფერენცია
ICP MS	ინდუქციურად შეწყვილებული პლაზმის მას-სპექტრომეტრი
IFSS	ინტერნეტით ფაილების ნაკადის სისტემა
ISS	იტალიის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტი
JMP	WHO/UNICEF ერთობლივი მონიტორინგის პროგრამა სასმელი წლის მიწოდების, სანიტარიისა და ჰიგიენის შესახებ
MDGs	ათასწლეულის განვითარების მიზნები
MICS	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (მიქსი)
MICS6	მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (მიქსი) მე-6 გლობალური რაუნდი
ოსმხ	ორალური სარეჰიდრატაციო მარილის ხსნარი
ოსთ	ორალური სარეჰიდრატაციო თერაპია
SD	სტანდარტული გადახრა
SDC	შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო
SDGs	მდგრადი განვითარების მიზნები
SIDA	შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
SPSS	სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პაკეტი
TIAR	სულ ხელოვნური აბორტის კოეფიციენტი
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)

UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNGASS	გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია აივ/შიდსის შესახებ
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი (იუნისეფი)
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WASH	წყალი, სანიტარია და ჰიგიენა
WB	მსოფლიო ბანკი
WG	შეზღუდული შესაძლებლობების სტატისტიკის ვაშინგტონის ჯგუფი
WHO	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
შიდსი	შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი
მკგ/დლ	მიკროგრამი დეცილიტრზე

მადლობა

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა (MICS) მიქსი საქართველო 2018 ჩაატარა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა (საქსტატი) გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ადგილობრივი, რეგიონული და სათაო ოფისის ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოში ბავშვებისა და ქალების მდგომარეობის შესახებ მაღალი ხარისხის მონაცემთა მიღებისა და ანალიზის მიზნით. კვლევა წარმოადგენს ალტერნატიული ინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDSs) შესრულების მონიტორინგის მიზნით.

2018 წლის საქართველოს მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის ჩატარება და წინამდებარე ანგარიში არაერთი პიროვნების, ინსტიტუტის და ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. კვლევის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა გაეროს ბავშთა ფონდის (იუნისეფის), დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (დკსჯეც), ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), მსოფლიო ბანკის (WB), გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA), საფრანგეთის განვითარების სააგენტო (AFD), შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC), იტალიის ეროვნული ჯანდაცვის ინსტიტუტის (ISS), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ფინანსური დახმარების გარეშე.

ჩვენ მადლიერებას გამოვხატავთ საზედამხედველო და ტექნიკური კომიტეტის და UNICEF-ის მიქსის გუნდის მიმართ ქვეყნის, რეგიონულ და სათაო ოფისის დონეზე. ჩვენ ასევე გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ საქსტატის მიქსის გუნდს, რომლებიც ჩართული იყვნენ კვლევის პროცესში, მათი ძალისხმევისა და თავდადებული მუშაობისათვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის საველე პესონალს, აღმწერებს, ზედამხედველებს, ინტერვიუერებს, მზომავებს და ფლებოტომისტებს მათ მიერ გაწეული მძიმე შრომისთვის და ველზე ხანგრძლივი დროით მუშაობისთვის, ზოგჯერ ძალიან რთულ პირობებში.

უღრმესი მადლობა იმ ათასობით ქალსა და მამაკაცს, რომელთაც დიდსულოვნად დაგვითმეს დრო და დაგვთანხმდნენ სიღრმისეულ გამოკითხვაში მონაწილეობაზე. დასასრულს, გვსურს გულწრფელი მადლობა გადავუხადოთ ბავშვებს, რომლებმაც მიიღეს სისხლში ტყვიის ტესტირებაში მონაწილეობა, მათი ფასდაუდებელი თანამშრომლობისა და დახმარებისათვის.

1 შესავალი

წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორულ კლასტერულ კვლევას (MICS), რომელიც საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) მხარდაჭერით განახორციელა. კვლევა უზრუნველყოფს სტატისტიკურად სანდო და საერთაშორისო დონეზე შესადარისი მონაცემების წარმოებას, რომელიც აუცილებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებისთვის, ასევე ეროვნული მიზნებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისთვის.

მოქმედების განხორციელების ვალდებულება: ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ანგარიშგების პასუხისმგებლობები

ორ ათწლეულზე მეტი ხნის წინ, **1990-იან წლებში ბავშვთა გადარჩენის, დაცვისა და განვითარების საერთაშორისო დეკლარაციის განხორციელების სამოქმედო გეგმა** მოუწოდებდა:

> *„თითოეულმა ქვეყანამ უნდა შემოიღოს ბავშვთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული შესაბამისი სოციალური მაჩვენებლების მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემთა რეგულარული და დროული შეგროვების, ანალიზისა და გამოქვეყნების სათანადო მექანიზმები .... ეროვნულმა ლიდერებმა და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა პერიოდულად აწარმოონ ადამიანის განვითარების მაჩვენებლების გადახედვა ისე, როგორც ეს ამჟამად ხორციელდება ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლებთან მიმართებაში...“*

აღნიშნულის შემდეგ მალევე, 1990-იანი წლების შუა პერიოდში, შემუშავდა მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევების პროგრამა, რომელიც ქვეყნებს აღნიშნული მიზნის განხორციელებაში ეხმარება.

ამასთან, იმ სახელმწიფოთა მთავრობებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს დეკლარაციას **მსოფლიო ბავშვებისათვის და სამოქმედო გეგმას,** აგრეთვე აიღეს ვალდებულება მონიტორინგი გაუწიონ ზემოაღნიშნული მიზნებისა და ამოცანების შესრულების პროცესს:

> *“ჩვენ რეგულარულ მონიტორინგს გავუწევთ ეროვნულ დონეზე და საჭიროების შემთხვევაში რეგიონულ დონეზე და შევაფასებთ წინამდებარე სამოქმედო გეგმის მიზნებისა და დასახული ამოცანების შესრულების თვალსაზრისით მიღწეულ პროგრესს ეროვნულ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. შესაბამისად, ჩვენ გავაძლიერებთ ჩვენს ეროვნულ სტატისტიკურ შესაძლებლობებს და მხარს დავუჭერთ ბავშვებზე ორიენტირებული ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარებას, რათა შევაგროვოთ, გავაანალიზოთ და დეტალურად წარმოვადგინოთ სქესის, ასაკისა და სხვა შესაბამისი ფაქტორების მიხედვით ისეთი მონაცემები, რომელთაც შესაძლოა სხვადასხვა სახის უთანასწორობა წარმოაჩინონ“ (**„მსოფლიო ბავშვებისათვის“**, მე-60 პუნქტი)*

ანალოგიურად, ***ათასწლეულის დეკლარაცია*** (31-ე პუნქტი) ითვალისწინებს მიღწეული შედეგების შესახებ პერიოდული ანგარიშგების წარმოებას:

> *“...ჩვენ თხოვნით მივმართავთ გენერალურ ასამბლეას, რეგულარულად განიხილოს წინამდებარე დეკლარაციის დებულებების განხორციელების მიმდინარეობა და*

ვთხოვთ გენერალურ მდივანს, გამოსცეს პერიოდული ანგარიშები, გენერალური ასამბლეის მიერ განსახილველად, რაც საფუძვლად დაედება შემდგომ ქმედებას.“

2015 წლის 25 სექტემბერს მიღებული გენერალური ასამბლეის რეზოლუციის, **„ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“** მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) გლობალური დღის წესრიგის წარმატებისთვის,

„ხარისხიანი, დროული და საიმედო დეტალური მონაცემები საჭირო იქნება მიღწეული პროგრესის გაზომვისა და იმის უზრუნველყოფისათვის, რომ არავინ არ დარჩეს პროცესის მიღმა“ (48-ე პუნქტი); აღნიშნული რეზოლუციით ასევე აღიარებულია, რომ „... კვლავ არ არსებობს საბაზისო მონაცემები ზოგიერთი ამოცანის შესახებ...“ და შეიცავს შემდეგ მოწოდებას „...მონაცემთა შეგროვებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება წევრ ქვეყნებში...“

საქართველოს მთავრობამ მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაციონალიზაცია 2015 წელს დაიწყო და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით. მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ეროვნული დოკუმენტი - მატრიცა მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას, რომლითაც პასუხისმგებელმა საჯარო დაწესებულებებმა უნდა იხელმძღვანელონ 2030 წლის დღის წესრიგის შესრულების პროცესში. სახელდობრ, ამ მატრიცაში ასახულია გლობალური და ნაციონალიზებული ამოცანები, რომელთა მიღწევა საქართველომ 2030 წლამდე უნდა შეძლოს და საბაზისო მაჩვენებლები, რომელთა მიმართებაში გაიზომება თითოეული ამოცანის შესრულება. მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევის მთავარ გამოწვევას მონაცემების შეგროვება წარმოადგენდა. მიქსი საქართველო 2018 კვლევამ უზრუნველყო მონაცემების უკმარისობის თვალსაზრისით არსებული ხარვეზების გამოსწორება, მათ შორის - მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მაჩვენებლების მიღება, რომელიც აუცილებელია მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად.

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიქსი საქართველო 2018 შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგისთვის, რამდენადაც კვლევა მთლიანად ან ნაწილობრივ გვაძლევს ინფორმაციას გლობალური მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 18 მაჩვენებლის და საქართველოს მთავრობის მიერ ნაციონალიზებული მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) 18 მაჩვენებლის შესახებ.

მიქსი საქართველო 2018-ის მთავარი ამოცანა იყო:

- მაღალი ხარისხის მონაცემების მიღება ბავშვების, მოზარდების, ქალებისა და შინამეურნეობების მდგომარეობის შესაფასების მიზნით, საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევიდან;
- ეროვნული მიზნების პროგრესის მონიტორინგისთვის საჭირო მონაცემების მიწოდება, რომლებიც სამომავლო ქმედების საფუძვლად იქნება გამოყენებული;
- დეტალიზებული მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სახის უთანასწორობის იდენტიფიცირებისთვის, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების სოციალური ჩართულობის პოლიტიკის შემუშავების მიზნით;
- სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემებისა და ფოკუსირებული ინტერვენციების შედეგების გადამოწმება;
- მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაციონალიზებული და გლობალური მაჩვენებლების წარმოება;

- საერთაშორისო დონეზე შედარებადი მონაცემების შეგროვება სხვადასხვა სფეროში მიღწეული პროგრესის შესაფასებლად და დამატებითი ძალისხმევის განხორციელება იმ სფეროებში, რომლებიც მეტ ყურადღებას მოითხოვს;
- ქცევისა და დამოკიდებულების შესახებ ისეთი მონაცემების შეგროვება, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი მონაცემთა სხვა წყაროებიდან.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის მიქსი საქართველოს 2018-ის შედეგები. მომდევნო მე-2 თავი, რომელიც ეხება კვლევის მეთოდოლოგიას, მოიცავს შერჩევის დიზაინსა და კვლევის განხორციელებას, კვლევით მოცული ყველა მაჩვენებელი შესაბამისი განმარტებებით მოცემულია „მაჩვენებლები და განმარტებები“-ს ნაწილში. თემატურ თავებად დაყოფილი კვლევის შედეგების წარმოდგენამდე, შერჩევის მოცულობა და რესპოდენტთა ძირითადი მახასიათებლები წარმოდგენილია მე-4 თავში „შერჩევის მოცულობა და რესპონდენტების მახასიათებლები“. მე-5 თავიდან დაწყებული კვლევის ყველა შედეგი შვიდ თემატურ თავად არის წარმოდგენილი. თითოეულ თავში თემის მოკლე მიმოხილვისა და თითოეული ცხრილის განმარტების შემდეგ მონაცემთა ცხრილებია მოცემული.

მე-5 თავში, „კეთილდღეობა - რეპროდუქციული და დედათა ჯანმრთელობა“ წარმოდგენილია კვლევით გამოვლენილი ფაქტები ადრეული შვილოსნობის, კონტრაცეფციის, ოჯახის დაგეგმვის, მშობიარობის, მშობიარობის შემდგომი მოვლის, აივ/შიდსის, შეწყვეტილი ორსულობის და ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ.

მომდევნო თავში, „კეთილდღეობა – ბავშვის ჯანმრთელობა, კვება და განვითარება“ წარმოდგენილია კვლევის შედეგები ავადობის შემთხვევების, დიარეის და ცხელების, შინამეურნეობებში ენერგიის მოხმარების, ჩვილთა და ბავშვთა კვების, მალნუტრიციის, ბავშვთა ადრეული განვითარების და ბავშვების მიერ ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებისა ან ტელევიზორის ყურების შესახებ.

სწავლა გახლავთ მომდევნო თავის თემა, სადაც წარმოდგენილია კვლევის შედეგები ბავშვის ადრეული განათლების, აკადემიური დასწრების და ბავშვის განათლებაში მშობელთა ჩართულობის შესახებ.

მომდევნო თავი, „ძალადობისა და ექსპლუატაციისგან დაცვა“, მოიცავს კვლევის შედეგებს ბავშვთა აღზრდის, ადრეული ქორწინების, ვიქტიმიზაციის და უსაფრთხოების შეგრძნების შესახებ.

მე-9 თავი, „უსაფრთხო და სუფთა გარემოში ცხოვრება“, მოიცავს სასმელი წყლის, ხელის დაბანის და სანიტარიის თემებს.

მე-10 თავი, სახელწოდებით „ცხოვრების თანაბარი შანსი“ ეხება სამართლიანობას. ამ თავში წარმოდგენილია კვლევის შედეგები სამართლიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა თემების შესახებ, მათ შორის, ბავშვის ფუნქციონირების, სოციალური გადარიცხვების, დისკრიმინაციისა და შევიწროების, ასევე სუბიექტური კეთილდღეობისა და დახმარების პროგრამის (პროგრამების) გამოყენების შესახებ.

ბოლო თემატური თავი სახელწოდებით „ტყვიის შემცველობის გავრცელება“, მოიცავს ტყვიაზე ტესტირების შედეგებს.

ანგარიშის ბოლოს მოცემულია დანართები, რომლებშიც წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია შერჩევის დიზაინის, კვლევაში ჩართული პერსონალის, შერჩევის ცდომილებათა შეფასებების, მონაცემთა ხარისხისა და გამოყენებული კითხვარების შესახებ.

2 კვლევის მეთოდოლოგია

2.1 შერჩევის დიზაინი

საქართველოს 2018 წლის მრავალინდიკატორული კლასტერულ კვლევის (მიქსი) შერჩევა შემუშავდა იმ მრავალრიცხოვანი მაჩვენებლების შეფასების მიზნით, რომლებიც ასახავენ ბავშვებისა და ქალების მდგომარეობას ქვეყნის დონეზე, ქალაქად თუ სოფლად და საქართველოს 10 რეგიონისათვის: თბილისი, აჭარის ა.რ., გურია, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი[1], კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, ასევე დევნილთა (იძულებით ადგილნაცვალი პირები) და არადევნილთა სტრატებად. თითოეულ რეგიონში საქალაქო და სასოფლო ტიპის დასახლებები განისაზღვრა, როგორც შერჩევის ძირითადი სტრატა, შემდეგ ყოველი ძირითადი სტრატა (რეგიონი ქალაქ-სოფლის მიხედვით) დაიყო დევნილთა და არადევნილთა სტრატებად. შინამეურნეობების შერჩევა განხორციელდა ორ ეტაპად. თითოეულ სტრატაში სისტემურად შეირჩა განსაზღვრული რაოდენობის სააღწერო უბნები, ზომის პროპორციული ალბათობით. შერჩეულ სააღწერო უბნების წინასწარი შემოვლის (აქტუალიზაციის) შემდეგ, თითოეული სააღწერო უბნიდან სისტემურად შეირჩა 20 შინამეურნეობა. მთლიანობაში 706 შერჩეული სააღწერო უბნებიდან, 14,120 შინამეურნეობა შეირჩა. რადგან შერჩევა არ არის თვითშეწონვადი, კვლევის შედეგების წარდგენისთვის გამოყენებულ იქნა შერჩევის წონები. შერჩევის დიზაინის დეტალური აღწერა იხილეთ დანართში A: შერჩევის დიზაინი.

2.2 კითხვარები

კვლევაში გამოყენებულ იქნა შვიდი კითხვარი: 1) შინამეურნეობების კითხვარი, შინამეურნეობაში ყველა *de jure* წევრის (რეზიდენტები) ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლების, ასევე შინამეურნეობისა და საცხოვრისის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად; 2) წყლის ხარისხის ტესტირების კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო ხუთი შინამეურნეობისთვის შერჩეულ თითოეულ უბანში; 3) ინდივიდუალური კითხვარი ქალებისთვის, რომელიც განკუთვნილი იყო თითოეულ შინამეურნეობაში მცხოვრები ყველა 15-49 წლის ასაკის ქალისთვის; 4) ინდივიდუალური კითხვარი მამაკაცებისთვის, რომელიც განკუთვნილი იყო ყოველ მეორე შინამეურნეობაში მცხოვრები ყველა 15-49 წლის მამაკაცისთვის; 5) კითხვარი 5 წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ, რომლებიც განკუთვნილი იყო შინამეურნეობაში მცხოვრები ყველა 5 წლამდე ასაკის ბავშვის დედებისთვის (ან მეურვეებისთვის); 6) კითხვარი 5-17 წლის ასაკის ბავშვების შესახებ, რომელიც განკუთვნილი იყო შინამეურნეობაში მცხოვრები, შემთხვევით შერჩეული ერთი 5-17 წლის ასაკის ბავშვის დედებისთვის (ან მეურვეებისთვის); 7) ტყვიის ტესტის კითხვარი, რომელიც განკუთვნილი იყო შინამეურნეობაში მცხოვრები, შემთხვევითი პრინციპით შერჩეული ერთი 2-7 წლის ბავშვის დედებისთვის (ან მეურვეებისთვის). კითხვარები მოიცავდა შემდეგ მოდულებს:

[1] ყველაზე პატარა რეგიონი რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი გაერთიანდა მოსაზღვრე იმერეთის რეგიონთან

შინამეურნეობის კითხვარი

შინამეურნეობის წევრთა სია
განათლება
შინამეურნეობის მახასიათებლები
სოციალური გადარიცხვები
ენერგიის მოხმარება
შინამეურნეობის მიერ წყალი და სანიტარია
ხელის დაბანა

წყლის ხარისხის ტესტირების კითხვარი

ტყვიის ტესტის კითხვარი

ინდივიდუალური კითხვარი ქალებისთვის/მამაკაცებისთვის

ქალის შესახებ ცნობები[M]
ნაყოფიერება
ბოლო ბავშვის სასურველობა
დედისა და ახალშობილი ბავშვის ჯანმრთელობა
მშობიარობის შემდგომი დაკვირვება
კონტრაცეფცია
კონტრაცეფციის დაუკმაყოფილებელი საჭიროება
შეწყვეტილი ორსულობა
ვიქტიმიზაცია[M]
ქორწინება და კავშირი[M]
ინფორმირებული/ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ[M]
ზრდასრულის ფუნქციონირება [M]
აივ/შიდსი[M]
ცხოვრებით კმაყოფილება[M]

[M]ინდივიდუალური კითხვარი მამაკაცებისათვის მოიცავს მხოლოდ ზემოაღნიშნულ მოდულებს.

კითხვარი 5-17 წლის ასაკის ბავშვების შესახებ

ცნობები ბავშვის შესახებ
ბავშვის აღზრდა
ბავშვის ფუნქციონირება
მშობლების ჩართულობა

კითხვარი ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების შესახებ

ცნობები ხუთ წლამდე ასაკის ბავშვის შესახებ
განვითარება ადრეულ ასაკში
ბავშვის აღზრდა
ბავშვის ფუნქციონირება
ძუძუთი კვება და კვებითი რაციონი
ავადმყოფის მკურნალობა და მოვლა
ანთროპომეტრია

კითხვარების ადმინისტრირების გარდა საველე ჯგუფები ახორციელებდნენ ხელსაბანი ადგილის დაკვირვებას, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა წონისა და სიმაღლის გაზომვას, ამოწმებდნენ შინამეურნეობაში და წყლის წყაროში ეშერიხია კოლის (*E. coli)* კოლონიების რაოდენობას და 2-7 წლის ბავშვების ვენიდან იღებდნენ სისხლს. ამ დაკვირვების დეტალები და გამოვლენილი მიგნებები მოცემულია ანგარიშის შესაბამის ნაწილებში. აღნიშნული კითხვარები დაეფუძნა MICS6-ის სტანდარტულ კითხვარებს.[2]

MICS6-ის შაბლონური ინგლისური ვერსიიდან, კითხვარები ადაპტირებულ იქნა და ითარგმნა ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და მათი წინასწარი ტესტირება ჩატარდა საქართველოს ოთხ რეგიონში (თბილისი, მცხეთა-მთიანეთი, სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი). შერჩევა კითხვარების წინასწარი ტესტირებითვის მოიცავდა სამი ტიპის დასახლებას (დიდი ქალაქი, პატარა ქალაქი და სოფელი). შერჩევის ზომა დაახლოებით 240 შინამეურნეობას შეადგენდა, რომელიც შეირჩა 29 უბნიდან. თითოეული უბნიდან ყოველი მესამე შინამეურნეობა გამოიკითხა 2018 წლის ივნისის თვეში. კითხვარების ტესტირების შედეგებზე დაყრდნობით მოხდა კითხვარების ფორმულირებასა და თარგმნაში ცვლილებები. მიქსი საქართველოს 2018 კვლევის კითხვარების ასლები მოცემულია დანართში E.

2.3 ეთიკური პროტოკოლი

კვლევის პროტოკოლი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა 2018 წლის აგვისტოში დაამტკიცა. პროტოკოლი მოიცავდა დაცვის

[2] MICS6 სტანდარტულ კითხვარები შეგიძლიათ იხილოთ: "MICS6 TOOLS." Home - UNICEF MICS. Accessed August 23, 2018. http://mics.unicef.org/tools#survey-design.

პროტოკოლს, რომელიც ხაზს უსვამდა კვლევის განმავლობაში წამოჭრილ პოტენციურ რისკებს და მათი შემცირების სტრატეგიებს.

სიტყვიერი თანხმობა მიღებულ იქნა თითოეული მონაწილე რესპონდენტისგან და ინდივიდუალურად გამოკითხული 15-17 წლის ასაკის ბავშვების შემთხვევაში, ბავშვის თანხმობამდე ზრდასრულის თანხმობა იქნა წინასწარ მიღებული, ხოლო წერილობითი თანხმობა გაფორმდა ტყვიის შემცველობის ტესტირების მიზნით 2-7 წლის ასაკის ბავშვების დედებთან/მეურვეებთან. დედებს/მეურვეებს გააცნეს ტყვიის შემცველობის ტესტში მონაწილეობის პირობები, კერძოდ: კვლევის მიზანი, ტესტირების პროცესი, კვლევაში მონაწილეებისათვის სარგებელი, მოსალოდნელი რისკი და შედეგების შეტყობინება.

ყველა რესპონდენტი ინფორმირებულ იქნა კვლევაში ნებაყოფლობითი მონაწილეობის, ინფორმაციის კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის შესახებ. ამასთან, რესპონდენტებს ეცნობათ, რომ მათ ჰქონდათ უფლება არ ეპასუხათ არცერთ ან რომელიმე კონკრეტულ კითხვაზე, ასევე ნებისმიერ დროს შეეძლოთ შეეწყვიტათ ინტერვიუ.

კვლევის შედეგები განხილულ იქნა შესაბამის სამინისტროებთან და ორგანიზაციებთან. ადეკვატური საპასუხო ქმედებები დაიგეგმა, მათ შორის ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, სისხლის ტესტირების შედეგები) გამოკითხულ შინამეურნეობებთან შედეგების პირდაპირი შეტყობინების.

2.4 მონაცემთა შეგროვების მეთოდი

მიქსის კვლევები იყენებს კომპიუტერზე დაფუძნებული პერსონალური ინტერვიუირების სისტემას (CAPI). მონაცემთა შეგროვების აპლიკაცია დაეფუძნა CSPro-ს (აღწერისა და კვლევის დამუშავების სისტემა) პროგრამულ უზრუნველყოფას, ვერსია 6.3, მათ შორის MICS-ის სპეციალურ მონაცემთა მართვის პლატფორმას. გლობალური MICS-ის პროგრამის ფარგლებში შემუშავებული პროცედურები და სტანდარტული პროგრამები[3] ადაპტირებულ იქნა მიქსი საქართველო 2018-ის საბოლოო კითხვარებისთვის და შემდეგ გამოყენებული. CAPI-ის აპლიკაციის ტესტირება განხორციელდა სამი სხვადასხვა ტიპის დასახლებაში (დიდი ქალაქი, პატარა ქალაქი და სოფელი) საქართველოს სამ რეგიონში (თბილისი, მცხეთა-მთიანეთი და ქვემო ქართლი). ტესტირებისთვის შერჩეულ იქნა დაახლოებით 200 შინამეურნეობა 10 უბნიდან 2018 წლის ივლისში. CAPI-ის ტესტის შედეგებზე დაყრდნობით კითხვარებსა და აპლიკაციაში შეტანილ იქნა ცვლილებები.

[3] მონაცემთა შეგროვების MICS6 სტანდარტული პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ: "MICS6 TOOLS." Home - UNICEF MICS. Accessed August 23, 2018. http://mics.unicef.org/tools#data-processing.

2.5 ტრენინგი

საველე სამუშაოების ტრენინგი მიმდინარეობდა 27 დღის განმავლობაში 2018 წლის აგვისტო-სექტემბერში. ტრენინგი მოიცავდა ლექციებს ინტერვიუს ჩატარების ტექნიკისა და კითხვარების შინაარსის შესახებ, აგრეთვე ტრენინგის მონაწილეებს შორის იმიტაციური ინტერვიუების ჩატარებას, კითხვების დასმაში გავარჯიშების მიზნით. მონაწილეებმა პირველ რიგში დაასრულეს ნაბეჭდი კითხვარების შევსების სრული ტრენინგი, რასაც მოჰყვა ტრენინგი CAPI პროგრამის გამოყენებაზე. მონაწილეებმა სამი დღე დაუთმეს საველე სავარჯიშოებს და სამი დღე სრულ საპილოტე კვლევის ჩატარებას ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. ტრენინგის დღის წესრიგი ეფუძნებოდა MICS6-ის ტრენინგ-პროგრამის შაბლონს.[4]

მზომავებს ჩაუტარდათ შესაბამისი ტრენინგი ანთროპომეტრიული გაზომვებისა და წყლის ხარისხის ტესტირებაში შვიდი დღის განმავლობაში, მათ შორის ოთხი დღე დაეთმო საველე სამუშაოებსა და საპილოტე კვლევას. ამასთან, მზომავები დაესწრენენ ნაბეჭდი კითხვარების თემაზე სრულ ტრენინგს. ფლებოტომისტები სამი დღის განმავლობაში გადამზადნენ სტანდარტულ საოპერაციო პროცედურებში (სისხლის შეგროვება, შენახვა საველე პირობებში, ტრანსპორტირება საველე პირობებში და პრაქტიკული სავარჯიშოები), ეთიკურ და კომუნიკაციის საკითხებში.

საველე ზედამხედველები დაესწრნენ დამატებით ტრენინგს გუნდის ზედამხედველობის და პასუხისმგებლობების თემებზე.

2.6 საველე სამუშაოები

მონაცემის შეგროვებაზე მუშაობდა 13 გუნდი. თითოეულ გუნდში შედიოდა 4 ინტერვიუერი (გამონაკლისს წარმოადგენდა 3 ინტერვიუერისაგან შედგარი ქვემო ქართლის გუნდი), ერთი მძღოლი, ერთი მზომავი, ერთი ფლებოტომისტი და ერთი ზედამხედველი. საველე სამუშაოები დაიწყო 2018 წლის სექტემბერში და დასრულდა 2018 წლის დეკემბერში.

მონაცემები შეგროვდა პლანშეტური კომპიუტერების გამოყენებით, რომელიც იყენებდა „Windows 10“-ის ოპერაციულ სისტემას, „ბლუთუზის“ აპლიკაციის გამოყენება საველე ოპერაციებისათვის, იძლეოდა დავალებების და შევსებული კითხვარების გადაგზავნის საშუალებას გუნდის ზედამხედველისა და ინტერვიუერების პლანშეტებს შორის.

2.7 საველე სამუშაოების ხარისხის კონტროლის ღონისძიებები

გუნდის ზედამხედველები პასუხისმგებელნი იყვნენ საველე სამუშაოების ყოველდღიურ მონიტორინგზე. სავალდებულო განმეორებითი ინტერვიუ ჩატარდა თითოეული უბნის სულ მცირე ერთ შინამეურნეობაში. ამასთან, განხორციელდა ინტერვიუერის უნარებსა და მუშაობაზე ყოველდღიური დაკვირვება.

საველე სამუშაოების პერიოდში, თითოეულ ჯგუფს კვლევის მმართველი გუნდის წევრები რამდენჯერმე ესტუმრნენ. ასევე მოეწყო საველე ვიზიტები იუნისეფის MICS-ის გუნდის წევრებისათვის.

[4] ტრენინგის დღის წესრიგის ნიმუში შეგიძლია იხილოთ: "MICS6 TOOLS." Home - UNICEF MICS. Accessed August 23, 2018. http://mics.unicef.org/tools#survey-design.

საველე სამუშაოების განხორციელების განმავლობაში, ყოველკვირეულად იწარმოებოდა საველე საკონტოლო ცხრილები (FCTs), გაანალიზებისა და საველე გუნდებთან შემდგომი რეაგირებისათვის. საველე საკონტოლო ცხრილები წარმოადგენდა MICS-ის პროგრამის სტანდარტული ცხრილების მოდიფიცირებულ ვერსიებს.[5]

2.8 მონაცემთა მართვა, რედაქტირება და ანალიზი

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სათაო ოფისში მონაცემებს იღებდნენ ინტერნეტით ფაილების ნაკადის სისტემის (IFSS) მეშვეობით, რომელიც ინტეგრირებული იყო ზედამხედველების პლანშეტების მართვის პროგრამაში. როდესაც ლოჯისტიკურად შესაძლებელი იყო, მონაცემების სინქრონიზაცია ყოველდღიურად ხორციელდებოდა. ცენტრალური ოფისი აპლიკაციის განახლებებს ამ სისტემის მეშვეობით აწვდიდა საველე გუნდებს.

მონაცემების შეგროვებისას და საველე სამუშაოების დასრულების შემდეგ მონაცემთა რედაქტირება განხორციელდა რედაქტირების პროცესის შესაბამისად, რომელიც დეტალურად არის აღწერილი მონაცემთა რედაქტირების სახელმძღვანელოში, სტანდარტული MICS6 დოკუმენტაციის ადაპტირებულ ვერსიაში.[6]

მონაცემების ანალიზი განხორციელდა სოციალური მეცნიერებების სტატისტიკური პაკეტის (SPSS) პროგრამული უზრუნველყოფის, 24-ე ვერსიის გამოყენებით. იუნისეფის მიერ შემუშავებული სინტაქსის მოდელი და ცხრილების შედგენის გეგმები მოდიფიცირებულ და გამოყენებულ იქნა ამ მიზნით.[7]

2.9 მონაცემთა გავრცელება

ინტერვიუს მსვლელობისას შეგროვებულ მონაცემებში უნიკალური საიდენტიფიკაციო ინფორმაცია, როგორიცაა ადგილმდებარეობა და სახელები, კონფიდენციალურობის უზრუნველსაყოფად ამოღებულ იქნა მონაცემთა ბაზიდან. აღნიშნული ანონიმიზირებული ფაილები ხელმისაწვდომია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე https://www.geostat.ge და MICS-ის ვებსაიტზე[8] და შესაძლებელია უფასოდ გადმოწერა გამოკვლევის მიზნებისთვის. მონაცემების მომხმარებლები ვალდებულნი არიან საბოლოო კვლევა წარუდგინონ იმ სუბიექტებს, რომლებიც მითითებულია საცნობარო ფაილში მხოლოდ საინფორმაციო მიზნისთვის.

2.10 როგორ წავიკითხოთ ცხრილები

ქვემოთ მოცემულია სახელმძღვანელო მითითებები იმისთვის, რომ ანგარიშში წარმოდგენილი ცხრილები უფრო ნათელი და გასაგები იყოს მომხმარებლისთვის.

---

[5] სტანდარტული საველე საკონტროლო ცხრილები შეგიძლიათ იხილოთ აქ: "MICS6 TOOLS." Home - UNICEF MICS. Accessed August 23, 2018. http://mics.unicef.org/tools#data-collection.

[6] სტანდარტული სახელმძღვანელო შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: "MICS6 TOOLS." Home - UNICEF MICS. Accessed August 23, 2018. http://mics.unicef.org/tools#data-processing.

[7] სტანდარტული ცხრილების შედგენის და სინტაქსის ფაილები შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: "MICS6 TOOLS." Home - UNICEF MICS. Accessed August 23, 2018. http://mics.unicef.org/tools#analysis

[8] კვლევის მონაცემები შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე: "Surveys." Home - UNICEF MICS. Accessed August 24, 2018. http://mics.unicef.org/surveys.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ცხრილებში, სადაც განათლება ძირითად მახასიათებლებშია მითებული, დაწყებითი და საშუალო განათლების დონეები განსაზღვრულია ეროვნული განათლების კლასიფიკაციის მიხედვით. სრული ზოგადი განათლება მოიცავს სამ დონეს (დაწყებითი, არასრული საშუალო (საბაზო), სრული საშუალო). დაწყებითი და არასრული (საბაზო) საშუალო განათლება სავალდებულოა. განათლების ეროვნული სისტემა რამდენიმეჯერ შეიცვალა და შესაბამისად საფეხურები იცვლება რესპოდენტების ასაკიდან გამომდინარე (დაწყებითი განათლების საფეხური იყო - 3, 4 და 6; არასრული საშუალო - 7, 8 და 9 საფეხური; სრული საშუალო - 10, 11 და 12 საფეხური; უმაღლესი განათლება - 2004 წლამდე მაგისტრატურის ხარისხი 4, 5 და 6 საფეხური, 2004 წლიდან ბაკალავრის ხარისხი 4 საფეხური, მაგისტრატურის ხარისხი 2 საფეხური, დოქტურანტურა და მასთან გათანაბრებული ხარისხი 3 საფეხური).

„დაწყებითი განათლების“ კატეგორიასთან დაკავშირებული მიგნებები მიქსი საქართველო 2018-ის ფარგლებში რაოდენობრივად ძალიან მცირეა ცალკე გამოქვეყნებისთვის. ამრიგად, კატეგორია „დაწყებითი განათლება“ გაერთიანებულ იქნა „არასრულ საშუალო განათლებასთან“ და წარმოდგენილია როგორც „დაწყებითი ან არასრული საშუალო (საბაზო)“.

კვლევის ანგარიშში სკოლამდელ განათლებაში მოიაზრება საბავშვო ბაღი.

შემთხვევების მცირე რაოდენობის გამო ცხრილი PR.6.3 (ბოლო თავდასხმის ადგილი და გარემოება) და PR.6.4 (ძარცვის ან თავდასხმის შემთხვევის შეტყობინება ბოლო ერთი წლის განმავლობაში) არ არის წარმოდგენილი მამაკაცებზე. ამავე მიზეზის გამო ძირითადი მახასიათებლები სრულად არ არის წარმოდგენილი ზოგიერთ ცხრილებში (TM.2.2W; TM.11.6M; TM.14.1CS; TC.3.5; TC.7.3; TC.7.7; LN.1.3CS; WS.1.3 და WS.1.4), უფრო მეტიც, ცხრილები PR.6.3W, PR.6.3M და PR.4.3 (მეუღლეებს შორის ასაკობრივი სხვაობა (15-19 და 20-24 ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით)) საერთოდ არ არის წარმოდგენილი ძირითადი მახასიათებლების მიხედვით.

ასაკობრივი ჯგუფები, რომელიც წარმოდგენილია ანგარიშში მოიცავს იმ პირებს, რომლებმაც სრულად მიაღწიეს იმ ასაკის ზედა ზღვარს, რომელიც მითითებულია ამ ასაკობრივი ჯგუფისათვის, მაგ. 15-49 წლის ასაკის რესპონდენტებში შედის პირები, რომლებმაც უკვე მიაღწიეს სრულ 49 წელს, ხოლო 36-59 თვის ასაკი ბავშვების შემთხვევაში, მოიცავს იმ ბავშვებს, რომლებსაც უკვე შეუსრულდათ 59 თვე.

ცხრილები ასევე მოიცავს სპეციფიკურ ანოტაციებს, რომლებიც გამოიყენება თანმიმდევრულად შემდეგი მითითებების აღსანიშნავად:

- (*) - ვარსკვლავი ფრჩხილებში ნიშნავს, რომ პროცენტი ან პროპორცია ეფუძნება 25-ზე ნაკლებ შეუწონავ დაკვირვებას და შესაბამისად ძალიან მცირეა გამოსაქვეყნებლად;
- (რიცხვი) - ფრჩხილებში მოცემული რიცხვი მიუთითებს, რომ პროცენტი ან პროპორცია ეფუძნება 25-49 შეუწონავ დაკვირვებას და გამოყენებისას მოითხოვს სიფრთხილეს;
- „არ ვიცი/მონაცემი არ არის" შეუწონავი დაკვირვებათა რაოდენობის სიმცირის შემთხვევაში ამოღებულია ცხრილიდან;
- “–“ - ტირე ცხრილებში აღნიშნავს 0 შეუწონავ შემთხვევას მნიშვნელში;
- აშ - არ შეესაბამება;
- CS - აღნიშნავს ქვეყნისთვის სპეციფიკურ ცხრილებს ან მაჩვენებლებს.

3 მაჩვენებლები და განმარტებები

მიქსის მაჩვენებელი		SDG[9]	მოდული[10]	განმარტება[11]	მნიშვნელობა
შერჩევის მოცულობა და რესპონდენტების მახასიათებლები					
SR.1	ელექტროობაზე ხელმისაწვდომობა	7.1.1	HC	შინამეურნეობების წევრების პროცენტული წილი, ვისაც წვდომა აქვთ შინამეურნეობაში ელექტროობაზე	99.9
